# საქართველო. ახმეტის მუნიციპალიტეტის
# ს ა კ რ ე ბ უ ლ ო

KA000004710509620

0900 ქ. ახმეტა ჩოლოყაშვილის ქ N49 Tel:+995 349 22 22 99; +995 349 22 15 46
ელ–ფოსტა:akhmeta.sakrebulo@gmail.com


№ **32** **06 / აგვისტო / 2020 წ.**

## განკარგულება

**ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ.ახმეტაში, ჩოლოყაშვილის ქუჩა N78-ში მდებარე უძრავი ქონების ა(ა)იპ „ახმეტის მუნიციპალიტეტის ბესიკ მამიაურის სახელობის მოსწავლე ახალგაზრდობის სახელოვნებო და შემეცნებითი სკოლა“-სთვის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ)“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ)“ ქვეპუნქტის, მე-4, მე-6 პუნქტებისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 51-ე, 52-ე, 53-ე, 54-ე, 55-ე მუხლების შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. მიეცეს თანხმობა ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას, განახორციელოს პირდაპირი განკარგვის წესით, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, **ქ.ახმეტაში, ჩოლოყაშვილის ქუჩა N78-ში მდებარე უძრავი ქონების ა(ა)იპ „ახმეტის მუნიციპალიტეტის ბესიკ მამიაურის სახელობის მოსწავლე ახალგაზრდობის სახელოვნებო და შემეცნებითი სკოლა“-სთვის** უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემა (საკადასტრო კოდი 50.04.43.052).

2. განკარგულება გადაეგზავნოს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას, აგრეთვე გამოქვეყნდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 56-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული წესით და ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (ქ. თელავი, აღმაშენებლის ქ. N41).

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

თამარ ყეინიშვილი